

# ABOUT HIV


## აივ-ით ცხოვრება

უმრავლესობისათვის აივ-ის დიაგნოზი მთელი ცხოვრების ცვლილების ტოლფასია.

ამ სიახლეს, როგორც წესი, თან ახლავს ემოციური და პრაქტიკული ხასიათის შედეგები.

მაგრამ ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ თქვენ იმყოფებით საუკეთესო გარემოებაში, რათა მიხედოთ თქვენს ჯანმრთელობას, მათ შორის ჩაიტაროთ აივ-ის მკურნალობა. მთელს მსოფლიოში შექმნილია ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან აივ-ინფიცირებულებს.

იმის აღმოჩენა, რომ თქვენ აივი გაქვთ შეიძლება იყოს შემადრწუნებელი. მოცემული საინფორმაციო მასალა დაგეხმარებათ მიიღოთ ნათელი ფაქტოგრაფიული ინფორმაცია, რაც კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ იმაში, რომ ცხოვრება გრძელდება.



### პირველი რეაქცია

ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ აივ-ის დიაგნოზზე. ზოგი აგრძელებს ცხოვრებას თითქოს არაფერი მომხდარა, ზოგი ეძებს უამრავ ინფორმაციას, ზოგისთვის კი ამ ამბავთან შეგუება რთულია.

თქვენ შესაძლოა საკუთარი თავი დაადანაშაულოთ. მაგრამ აივ-ით დაინფიცირება არ ხდება იმიტომ, რომ ამის „ღირსი“ ხართ. აივ-ის ქონა არ ნიშნავს, რომ თქვენ ხართ გარყვნილი, ამორალური ან ბრიყვი.

მრავალი ადამიანი აივ-ით სექსუალური პარტნიორისგან ინფიცირდება. შესაძლოა თქვენ არ იცოდით აივ-ის შესახებ მაგ დროს, ან არ მიიჩნევდით, რომ რისკის ქვეშ ხართ, ან გამოწვევის სახით ერთჯერადად, გადაწყვიტეთ არ მიგეჭიათ ამისთვის სათანადო ყურადღება. ყველაფერი

ჩამოთვლილიდან წარმოადგენს ადამიანებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ქცევას.

თქვენ შესაძლოა სხვა ვინმე დაადანაშაულოთ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ იცით ვისგან გადმოგედოთ აივი, თქვენ შესაძლოა გაბრაზებული იყოთ მასზე, რაც სავსებით გასაგებია.

მაგრამ შესაძლოა მან არ იცოდა იმის შესახებ, რომ აივი ქონდა. ძალიან ხშირად, აივი გადაიცემა იმ ადამიანების მიერ, ვისაც ვირუსი სულ რამდენიმე თვის განმავლობაში აქვთ და არც კი იციან ამის შესახებ.

მაგრამ შესაძლოა იცოდნენ და არ გითხრეს. ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ ეთქვათ. მაგრამ ბევრს ეშინია ამის შესახებ საუბარი, ცხვენიათ ან შიშობენ, რომ გაირიყებიან. არ არის მარტივი სტატუსის გამხელა. მოცემული საინფორმაციო მასალა შეიცავს რჩევებს თუ როგორ სჯობს მოხდეს სტატუსის გამხელა.

### სამედიცინო დახმარების მიღება

აივ-ინფიცირებულებისათვის სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომია უამრავ საავადმყოფოში ან სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. გააჩნია მსოფლიოს რომელ წერტილში იმყოფებით. აივ-ის საუკეთესო მკურნალობა და ზრუნვა ხშირად აივ-ის სპეციალიზირებულ კლინიკებში ხორციელდება.

საქართველოში აღნიშნულის მიწოდება ხდება ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის მიერ. ცენტრის მიერ მიწოდებული მკურნალობის და ზრუნვის სერვისები უფასოა საქართველოს მოქალაქეებისათვის მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.

მნიშვნელოვანია არ გაცდინოთ დანიშნული შეხვედრები კლინიკაში. თუ თქვენ აივ-ის მკურნალობას გადინხართ, სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდეთ ამ საკითხს, თუ გასურთ თავი კარგად იგძნოთ.

### მხარდაჭერის მიღება

დროდადრო აივ-ით ცხოვრება შესაძლოა მძიმე გახდეს, ამიტომ უმრავლესობას გარკვეულ პერიოდებში

[www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info) და [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info) შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCRU-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info); [www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info); [www.aidsmap.com](http://www.aidsmap.com) UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

# ABOUT HIV

## აივ-ით ცხოვრება

შესაძლოა დასჭირდეს სხვებისგან დახმარების მიღება. არ შეგეშინდეთ და არ მოგერიდოთ დახმარების თხოვნა.

შესაძლოა, დიდი მხარდაჭერა აღმოგიჩინონ იმ დაწესებულებაში, სადაც სამედიცინო დახმარებას გიწევენ. სამედიცინო მუშაკების გარდა, აქ შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც დაგეხმარებიან დიაგნოზთან მიმართებაში ან რომლებთანაც შეძლებთ თქვენი პრობლემების შესახებ საუბარს.

კონსულტირება და მხარდაჭერა შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს აივ-ით ინფიცირებულების მხარდამჭერ ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობითაც.

### წინსვლა

აივმა არ უნდა შეაფერხოს თქვენი ცხოვრება. მრავალი ადამიანი, ვისაც აივი აქვს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თავის ჯანმრთელობას. ზოგი გადის ადაპტირების პერიოდს და ახდენს პრიორიტეტების გადაფასებას.

მაგრამ უმრავლესობა განაგრძობს სამსახურს და თავის ჩვეულ აქტივობებს. აივმა არ უნდა დაგაბრკოლოთ. არ უნდა თქვით უარი ურთიერთობებზე, ბავშვების ყოლაზე, სამომავლო გეგმების დასახვაზე.

[www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info) და [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info) შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info); [www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info); [www.aidsmap.com](http://www.aidsmap.com)  
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220